31/10/2025

MES 4 25 0001430437

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.10.25
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 17:45 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
5. **თეა მჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
7. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
11. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.
13. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
14. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
15. **მზია წიკლაური** -შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ქეთევან პავლიაშვილი -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ
ელისო ელისაშვილი-რექტორი
მარიამ დარბაიძე-ვიცე-რეტორი
მარინა ვეკუა - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში
ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში
დავით ცირამუა - ბიზნესის სკოლის დეკანი
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნია თოდუა - აფილირებული ასოცირებული პროფესორი
ნინო ტალიკაძე - ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი
გოდერძი ბუჩაშვილი - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

სსიპ - სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტი
მურმან კვარაცხელია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
კახაბერ ციმინტია - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
მადონა გელაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
კახი კოპალიანი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

რომეო გალდავა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარინე ხუბუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანა შონია- ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
თენგიზ კუპრავილი- ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მზია თადუმაძე - "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

შპს ბრიტანული უნივერსიტეტი
ლევან გურგენიძე - ვიცე-რექტორი აკადემიური და კვლევითი განვითარების მიმართულებით;
ეკა ლუაშვილი - ვიცე-რექტორი ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით;
სოფიო მშვიდობაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ლობჟანიძე - ბიზნესის და მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; ბიზნესის სკოლის დეკანი.
ზურა აბრამიშვილი - მოწვეული ლექტორი.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოსსაზოგადოებრივსაქმეთაინსტიტუტი
ბაკურ კვაშილავა - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი;
თორნიკე შარაშენიძე - საერთაშორისო ურთიეთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები

თინა ცომაია - I საკითხი
ირმა ქურდაძე - I საკითხი
ნანული ოქრუაშვილი - II საკითხი
სანდრო ტაბატაძე - II საკითხი
ია ნაცვლიშვილი - III საკითხი
დალი ოსეფაშვილი - IV საკითხი
დავით სიხარულიძე - V საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "მასობრივი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
3. სსიპ - სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. შპს ბრიტანული უნივერსიტეტის "ბიზნესის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "მასობრივი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
3. სსიპ - სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. შპს ბრიტანული უნივერსიტეტის "ბიზნესის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;

პირველი საკითხი:შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "მასობრივი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასობრივი კომუნიკაცია;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივ კომუნიკაცია ში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა თინა ცომაიამ აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია წარმოდგენილია და დროის დაზოგვის მიზნით იგი შემოიფარგლება ლაკონური მოხსენებით. განმარტა, რომ ზოგადად სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მაგალითად, მე-4 სტანდარტი ნაწილობრივ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან, სწორედ ამ სტანდარტთან დაკავშირებით აქვთ ექსპერტებს გაცემული რეკომენდაციები, რომლებზეც დაწესებულებამ უნდა გაამახვილოს ყურადღება.
პირველ რიგში, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებაზე. აღნიშნა, რომ იგი შედგენილი იყო ძველი კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, რაზეც ექსპერტთა მხრიდან გაკეთდა მითითება, რომ უნდა დარეგულირდეს ახალი ჩარჩოს შესაბამისად — ანუ უნდა განისაზღვროს როგორც „მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივი კომუნიკაციაში“. აღნიშნული ცვლილება დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს.
ასევე, ექსპერტთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია აფილირებული და მოწვეული ლექტორების რაოდენობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსების მაღალი ხარისხით განხორციელებას. მართალია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან პროფესორები, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი არ არის ხარისხიანი შედეგის მისაღებად. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ მნიშვნელოვანია განახლდეს ლიტერატურა და შემოღებულ იქნას გარკვეული წესები — იქნება ეს შეფასების, ტესტირების თუ გამოცდის პროცედურებთან დაკავშირებული, რათა ყველაფერი იყოს მკაფიოდ გაწერილი და ამით ხელმძღვანელობდეს აკადემიური პერსონალი.
გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რამდენიმე დამატებითი რეკომენდაცია. მათი აზრით, სწრაფად ცვლილებად გარემოში, სადაც ხელოვნურ ინტელექტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, საჭიროა პროგრამაში დაემატოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური საკითხების

სწავლება. ასევე, მიზანშეწონილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება, რისთვისაც ექსპერტებმა დაწესებულებას გარკვეული იდეებიც შესთავაზეს.
დასასრულს, ექსპერტმა ხაზი გაუსვა მედიის როლის მნიშვნელობას — მისი დანიშნულება საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების სამსახურში ყოფნაა, რაც პროგრამაშიც უნდა აისახოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ „ჯიუ“-ს რექტორმა, ელი ელისაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების პოზიციას წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, მარიამ დარბაიძე, და პროგრამის ხელმძღვანელი, მარინე ვეკუა.
მარიამ დარბაიძემ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა იმ ნაწილზე, რაც ზოგად მიმართულებებს შეეხება დასკვნაში, ხოლო პროგრამის შინაარსზე ისაუბრებდა ქალბატონი მარინე ვეკუა.
დასაწყისში განმარტა, რომ ეს არის ჩარჩოსთან შესაბამისობის ნაწილი, ანუ არაგეგმიური მონიტორინგი. დაწესებულებისთვის ამ პროცესში მთავარი ამოცანა იყო ყველა კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას კვალიფიკაციის ფორმულირებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ეს საკითხი დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე გამოყო.
შემდეგ, შეეხო ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას — შიდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წესში პროცედურების დეტალურად გაწერის აუცილებლობასთან დაკავშირებით. განმარტა, რომ სწავლების პროცესის მარეგულირებელ წესში დაწესებულებას დეტალურად გაწერილი აქვს ყველა ეტაპი, რომელიც მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს პროგრამაში ჩასარიცხად. აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს სტუდენტთა გზამკვლევი, პროგრამის წინაპირობები, კატალოგი, ასევე ვებგვერდზე ცალკე გამოყოფილია საინფორმაციო ნაწილი მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ ხდება კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვა. ამიტომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნაწილი უკვე სათანადოდ იყო გაწერილი.
მესამე საკითხზე, რომელიც ეხებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმების დადგენას, განმარტა, რომ უნივერსიტეტში წლებია მოქმედებს სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც დეტალურადაა გაწერილი პრაქტიკის ხელმძღვანელის მოთხოვნები და ფუნქციები. გარდა ამისა, არსებობს ვრცელი პრაქტიკის დებულება, სადაც დეტალურადაა განსაზღვრული პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის წესი.
ასევე შეეხო მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, რომელიც ითვალისწინებდა აფილირებული და მოწვეული ლექტორების რაოდენობის გაზრდას. განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს დოკუმენტი — აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს ამ საკითხს. დაწესებულებას აქვს საკუთარი სამიზნე ნიშნულები თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრული პერსონალის რაოდენობის მიხედვით. ამ ეტაპზე კონკურსი დასრულებულია და შერჩეულია ახალი აკადემიური პერსონალი. თუმცა, იმის გამო, რომ პროგრამაზე მაგისტრანტთა რაოდენობა მცირე იყო (მხოლოდ სამი კურსდამთავრებული), სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობაც მცირე აღმოჩნდა, რაც, სავარაუდოდ, გახდა ექსპერტთა აღნიშნული შენიშვნის საფუძველი.
საუბარი განაგრძო მარინე ვეკუამ. პირველი რეკომენდაციის საფუძველზე — პროგრამის მიზნებსა და შედეგებში დასავლური ღირებულებების მკაფიოდ ასახვის თაობაზე აღნიშნა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, სრულად იზიარებს ამ რეკომენდაციას, რაც უკვე აისახა მეხუთე მიზანსა და მერვე შედეგში.

ასევე, დაწესებულება იზიარებს მეორე რეკომენდაციასაც, რომელიც უკავშირდება პროგრამაში დარგობრივი ჟურნალისტიკის ნაწილის გაძლიერებას . მარინე ვეკუამ განმარტა, რომ ცვლილება აისახა მესამე მიზანსა და მეხუთე შედეგში შემდეგნაირად: „გამომუშავდეს საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემატიკის მქონე კულტურის, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან ანალიტიკური მედია პროდუქტის მომზადებისა და მულტიმედიურ პლატფორმებზე განთავსების უნარი.“

აქვე დაამატა, რომ აღნიშნულ მიზანსა და შედეგს ეხმაურება სავალდებულო სასწავლო კურსები — „პოლიტიკა მედიაში“, „კულტურა მედიაში“, „ეკონომიკა მედიაში“, პროფესიული პრაქტიკა და სადიპლომო ნაშრომი, ასევე არჩევითი კურსები — „პრაქტიკული ტელეჟურნალისტიკა“, „პრაქტიკული რადიოჟურნალისტიკა და ჟურნალის წარმოება“. აღნიშნულ საგნებში ეს კომპონენტი გაძლიერებულია.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით — დარგობრივი მიმართულებების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერების თაობაზე განმარტა, რომ დაწესებულება აღნიშნულს ორი მიმართულებით ასრულებს: პირველი, სასწავლო კურსების საშუალებით, სადაც პრაქტიკული ელემენტები გაძლიერებულია; მეორე, მემორანდუმების საფუძველზე, რომლებიც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მედიაორგანიზაციებთან. აღნიშნულ მემორანდუმებში განსაზღვრულია, რომ სტუდენტები პრაქტიკის გავლისას ძირითადად იმ თემებზე მუშაობენ, რომლებიც ექსპერტთა მიერ მითითებულ სამ სფეროს — კულტურას, პოლიტიკას და ეკონომიკას უკავშირდება.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით — მიზნების გამსხვილებასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე ხაზგასმის შესახებ აღნიშნა, რომ მიზნების ხელოვნურად გამსხვილება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ისინი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული და გამიჯნულია. კერძოდ, პროგრამის მიზნებია: სტუდენტი სწავლობს დარგის ისტორიას, იძენს კვლევის მეთოდებს, ამზადებს მულტიმედიურ პროდუქტს, ავითარებს კომუნიკაციის უნარს, მართავს სასწავლო პროცესს, სწავლობს და იყენებს პროფესიულ სტანდარტებს და აღიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს. დამატებით აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტების მხრიდან კონკრეტული მითითების შემთხვევაში დაწესებულება მზადაა განიხილოს მიზნების კორექტირების საკითხი.

მეხუთე რეკომენდაციით — პროგრამის მიერ კურსდამთავრებულთათვის დარგობრივი უპირატესობის მკაფიო აღწერის შესახებ განმარტა, რომ ეს უკვე ასახულია მეხუთე შედეგში, სადაც ხაზგასმულია, რომ კურსდამთავრებული მზად არის მოამზადოს ანალიტიკური მედია პროდუქტი კულტურის, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან. აღნიშნული ასახულია როგორც კურიკულუმის რუკაში, ასევე შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

მეექვსე რეკომენდაციით — პროფესიული ეთიკის საფუძვლების საგნის დამატების თაობაზე განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური საკითხების სწავლების დამატების შესახებ. აღნიშნული თემები დაემატება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში — „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „მედიის კრიტიკული ანალიზი“, სამაგისტრო ნაშრომი, „ახალი მედია და საზოგადოება“.

რაც შეეხება პროფესიული ეთიკის ცალკე საგნად დანერგვას, მარინე ვეკუას შეფასებით, ეს მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ეთიკური თემატიკა უკვე ინტეგრირებულია რამდენიმე საგნის შინაარსში. უნივერსიტეტი ამზადებს არა მხოლოდ თემატურ ან დარგობრივ ჟურნალისტებს, არამედ მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტებს, რის გამოც ეთიკური ჩარჩოები ბუნებრივადაა ჩაშენებული პროგრამის მრავალ კურსში.

მეათე, დასკვნით რეკომენდაციაზე — ლიტერატურის განახლებისა და გამრავალფეროვნების თაობაზე აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ რეკომენდაციას სრულად იზიარებს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ახალ სასწავლო წელს ლიტერატურა ახლდება და ივსება. განმარტა, რომ უნივერსიტეტი ამ პროცესს მუდმივად აგრძელებს. ხაზი გაუსვა, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა ამ მიმართულებით შეზღუდულია, თუმცა, რადგან მაგისტრანტებს აქვთ და

უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნა, დაწესებულება მუდმივად იზრუნებს ლიტერატურის განახლებაზე და შესთავაზებს სტუდენტებს ახალ ინგლისურენოვან რესურსებს.
რაც შეეხება სილაბუსებში გვერდების მითითებას, განმარტა, რომ მაგისტრატურის დონეზე ეს სავალდებულოდ არ მიაჩნიათ, თუმცა აკადემიური პერსონალი ყოველთვის ითვალისწინებს იმ ფაქტორს, რომ მაგისტრანტმა კვირაში დაახლოებით 30–50 გვერდი უნდა დაამუშაოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან შავაძემ დასვა კითხვა ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ რეკომენდაცია სხვა ფორმულირებით არის წარმოდგენილი. დააზუსტა: „რეკომენდებულია განახლდეს და გამრავალფეროვნდეს საკითხავი ლიტერატურა, მოხდეს სასწავლო გვერდების მოცულობის ზომიერად განაწილება“ — და ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ რას გულისხმობდნენ „ზომიერად განაწილებაში“.
ექსპერტმა თინა ცომაიამ განმარტა, რომ როდესაც ცდილობდა გვერდების რაოდენობის დათვლას, შენიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოცულობა საკმაოდ მაღალი იყო. შესაბამისად, ზომიერად განაწილებაში იგულისხმებოდა, რომ სტუდენტს შეეძლოს ისეთი რაოდენობის მასალის ათვისება, რომელიც არ გამოიწვევს გადაფარვას სხვადასხვა საგნებში. აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ძირითადი ლიტერატურა იყოს წარმოდგენილი, ხდებოდეს მისი განახლება, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს მასალის გადაჭარბებული მოცულობით დამუშავება არ მოუწიოთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული რეკომენდაცია.
ლევან შავაძემ დაწესებულებასაც მიმართა, ხომ არ ისურვებდა კომენტარის გაკეთებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარინე ვეკუამ განმარტა, რომ მისი თქმით, 30-50 გვერდი საშუალო რაოდენობაა თითოეულ საგანში — ეს არის კონკრეტული პასუხი მოცულობის საკითხზე. დასძინა, რომ კარგი იქნებოდა, ექსპერტებს მიეთითებინათ, კონკრეტულად რომელ საგანში მოხდა გადაფარვა, რადგან ასეთ შემთხვევაში დაწესებულება შეძლებდა შესაბამისად დაკორექტირებას. ასევე აღნიშნა, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ მაგისტრატურის ოთხი სემესტრიდან ბოლო სემესტრი მთლიანად სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას ეთმობა, ხოლო პირველი სემესტრი კვლევას ეხება და აქცენტი სწორედ კვლევაზეა გაკეთებული. სხვა სემესტრებში, მაგალითად, პრაქტიკის საგნებში, წასაკითხი ლიტერატურის მოცულობა შედარებით მცირეა — კერძოდ, „პრაქტიკული ტელეჟურნალისტიკა“, „პრაქტიკული რადიოჟურნალისტიკა“, „ჟურნალის მომზადება“ და „შეფ-რედაქტორი“ ითვალისწინებენ მცირე მოცულობის საკითხავ მასალას.
ირმა ქურდაძემ, თინა ცომაიას კომენტარზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ გვერდების რაოდენობა გაზომვადია და თვალსაჩინოდ ჩანს, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრაქტიკული ნაწილი ხშირად მოითხოვს დამატებით დროს და ძალისხმევას, ამიტომ რეკომენდაციაში მხოლოდ წასაკითხი მასალა არ იგულისხმებოდა. დაამატა, რომ პროგრამა ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით ეთიკური მიმართულების კუთხით, და რომ კარგი ჟურნალისტების მომზადება დღეს მეტად მნიშვნელოვანია. ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პრაქტიკული სამუშაოსა და კვლევის ერთდროული შესრულება ზრდის დატვირთვას, რაც რეკომენდაციის არსსაც განსაზღვრავდა.
თინა ცომაიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უმჯობესია, დაწესებულებამ იზრუნოს ლიტერატურის განახლებაზე.
ელიზბარ ელიზბარაშვილმა რეპლიკა გააკეთა და განმარტა, რომ რეკომენდაცია წარმოადგენს ხარვეზს, რომლის აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება უნივერსიტეტს და არ არის მხოლოდ რჩევა. აღნიშნა, რომ საჭიროა ლიტერატურის განახლების მოთხოვნის დეტალური დასაბუთება და იკითხა, შეამოწმეს თუ არა ექსპერტებმა მითითებული ლიტერატურის სრული შესაბამისობა სილაბუსებში დასმულ საკითხებთან. ხაზგასმით თქვა, რომ ლიტერატურის განახლება ქართულ სივრცეში რთულია, რადგან ყოველ წელს ახალი მასალით უზრუნველყოფა არ ხდება.
დასვა კითხვა — მითითებულ ლიტერატურაში თუ შედიოდა სილაბუსში მოცემული ყველა

მასალა და მოხდა თუ არა მისი ვალიდურობის შემოწმება. დასძინა, რომ არ მიაჩნია სწორი მხოლოდ ქრონოლოგიურად თარიღების მიხედვით განახლება. ლიზბარ ელიზბარაშვილმა ასევე კითხვით მიმართა ინსტიტუციას, რომელმაც განაცხადა თანხმობა ლიტერატურაზე და აღნიშნა, რომ ეს მარტივი იყო. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ დასჭირდა ლიტერატურის განახლებას ექსპერტების მითითება და რატომ თავად არ იზრუნა ინსტიტუციამ. ან ასევე მოითხოვა არგუმენტაცია, რატომ ითვლება აუცილებლად გვერდების რაოდენობის მითითება.
ირმა ქურდაძემ განმარტა, რომ სილაბუსში მითითებული ყველა ლიტერატურა ვალიდურია და შეესაბამება საგნის შინაარსს. ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მინიმალური სტანდარტის განსაზღვრა, რათა სტუდენტს ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა სამუშაო მოცულობაზე, თუმცა ეს არ გამორიცხავს დამატებითი წყაროების მოძიებას. რაც შეეხება ლიტერატურას, აღნიშნა, რომ იგი რელევანტურია, თუმცა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დინამიკის გამო საჭიროა ახალი მასალის მუდმივი დამატება. დასძინა, რომ მიზან-შედეგობრიობა დაწესებულების მხრიდან კარგად არის განსაზღვრული.
თინა ცომაიამ აღნიშნა, რომ ეთანხმება ბატონ ელიზბარის მოსაზრებას და ხაზგასმით თქვა, რომ გვერდების დათვლა აუცილებელი არ არის — რეკომენდაცია მხოლოდ ზომიერად განაწილების საჭიროებას ეხებოდა. დაამატა, რომ 2019 წლის შემდეგ უახლესი ლიტერატურა არ იყო მითითებული, რაც გახდა მიზეზი, რომ აღნიშნული საკითხი რეკომენდაციად დაფიქსირებულიყო.
ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, არის თუ არა ამ მიმართულებით უახლესი ქართულენოვანი ლიტერატურა.
თინა ცომაიამ უპასუხა, რომ ძირითადად უცხოენოვანი უახლესი ლიტერატურაა ხელმისაწვდომი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარინე ვეკუამ განმარტა, რომ ექვსი წელი დარგისთვის სწრაფი განვითარების პერიოდია, თუმცა წიგნის გამოცემისთვის — მცირე დრო. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და კონფერენციების მასალებს, თუმცა მათი ძირითად ლიტერატურად მითითება რთულია. გვერდების დათვლასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამას აკეთებს იმისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა სამუშაო მოცულობაზე, განსაკუთრებით იმათ, ვინც უფრო პასიურები არიან. დასძინა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე რაც მეტს წაიკითხავს სტუდენტი, მით უკეთესი შედეგი ექნება.
ქეთევან ნანობაშვილმა მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასვა კითხვა: „რეკომენდებულია მკაფიოდ აღიწეროს, რა დარგობრივ უპირატესობას ანიჭებს ამ პროგრამის დამთავრება სტუდენტს, რა გამორჩეულ თვისებებს შეიძენს ის და რომელი საგნები უზრუნველყოფს ამ უნარების ჩამოყალიბებას პრაქტიკითა და თეორიით“. აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, იგულისხმება თუ არა სწავლის შედეგებში ამ საგნების ასახვა და სთხოვა ექსპერტებს განმარტება.
თინა ცომაიამ განმარტა, რომ სპეციალიზაცია, როგორც ფოკუსი, პროგრამის ძლიერი მხარეა. აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები უკეთ დაჯგუფების შემთხვევაში უფრო ნათლად აჩვენებდა, რომელ მიმართულებას აძლიერებს თითოეული საგანი. დასძინა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია რამდენიმე მიმართულება — პოლიტიკა, კულტურა და სხვა — რეკომენდაცია სწორედ იმ მიზნით გაიცა, რომ სტუდენტს გაუადვილდეს ამ კავშირების აღქმა.
მარინე ვეკუამ განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და განმარტა, რომ ყველა საგნის სილაბუსში და პროგრამის მიზნებსა და შედეგებში მითითებულია, რომ პროგრამა ამზადებს დარგობრივ ჟურნალისტებს სამ მიმართულებაში — პოლიტიკის, კულტურისა და ეკონომიკის გაშუქებაში. დანარჩენი საგნები, მაგალითად „კლიმატური ცვლილებები“ ან „ფსიქიკური ჯანმრთელობა“, არჩევითია და დამატებით ცოდნას აძლევს სტუდენტს.

თინა ცომაიამ დაამატა, რომ კარგი იქნებოდა, პროგრამაში არსებობდეს გარკვეული გზამკვლევი, რომელიც აჩვენებს, როგორ უკავშირდება არჩევითი საგნები ძირითად სამ მიმართულებას.
ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა დაზუსტდეს, როგორ მიდის სტუდენტი კონკრეტულ შედეგამდე სხვადასხვა საგნის გავლით, მათ შორის არჩევითი ბლოკით, და ეს უკვე აღწერილია პროგრამის ნარატივში.
ციური დურულმა ექსპერტებს დაუსვა კითხვა პერსონალთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე კერძოდ, რატომ მიიჩნიეს საჭიროდ, რომ გაიზარდოს როგორც აფილირებული, ისე მოწვეული ლექტორების რაოდენობა, და ნიშნავს თუ არა ეს, რომ ექსპერტები არსებულ პერსონალს არ მიიჩნევენ კვალიფიციურად.
თინა ცომაიამ განმარტა, რომ 18 საგანს მხოლოდ 5 ლექტორი ასწავლიდა, რაც გახდა რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ 3 სტუდენტის შემთხვევაში ეს პრობლემა არ იჩენს თავს, მაგრამ სტუდენტთა რაოდენობის ზრდისას მოწვეული პერსონალის დატვირთვა შეიძლება გაიზარდოს, ამიტომ მიზანშეწონილია აკადემიური შტატების გაზრდა.
ციური დურულმა დასვა დამატებითი კითხვა — როგორ შეიძლება აისახოს დასავლური ღირებულებები მიზნებსა და შედეგებში.
თინა ცომაიამ განმარტა, რომ დასავლური ღირებულებებში მოიაზრება მედიასერვისის ეთიკური და საზოგადოებრივი ორიენტაცია — მედიის ყოფნა საზოგადოების სამსახურში.
ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ საინტერესო იქნებოდა პროგრამაში უცხოელი პროფესორების ჩართვის შესაძლებლობაც.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდაციები ერთმანეთს ემთხვევა და საჭიროა მათი დიფერენცირება — რომელი დარჩეს როგორც რეკომენდაცია და რომელი ჩაითვალოს რჩევად.
ირმა ქურდაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის პოტენციალის გათვალისწინებით ეს უნდა დარჩეს როგორც რეკომენდაცია.
მარინე ვეკუამ განმარტა, რომ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტი უკვე თანამშრომლობს უცხოელ სპეციალისტებთან, რომლებიც ატარებენ ლექციებს, ასევე სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ ამერიკათმცოდნეობის სტუდენტურ კონფერენციებში. აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობა პირდაპირ არ უკავშირდება პროფესორების რაოდენობას.
მარიამ დარბაიძემ დაამატა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად აკონტროლებს აკადემიური პერსონალის რაოდენობას და ზრდის მას საჭიროებისამებრ.
თინა ცომაიამ აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის ნაწილში რეკომენდაცია ეხებოდა ინგლისურენოვანი კურსების დამატებას და პროფესორების ჩართვას საერთაშორისო კონფერენციებში.
მარინე ვეკუამ განმარტა, რომ უნივერსიტეტს უკვე აქვს ორი ინგლისურენოვანი კურსი, ხოლო ლექტორები, რომლებიც ასწავლიან სხვა უნივერსიტეტებშიც, მხოლოდ ორნი არიან და ამ კუთხით პრობლემა არ წარმოიშობა. დასძინა, რომ პროფესურა ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.
თეა მჭედლურმა იკითხა, გაიმართა თუ არა აკადემიური პერსონალის შერჩევის კონკურსი რეკომენდაციის გაცემის შემდეგ.
მარიამ დარბაიძემ უპასუხა, რომ დაწესებულებას წინასწარ ჰქონდა გათვლილი კონტინგენტის ცვლილება.
ასევე დასვა კითხვა პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით — იყო თუ არა დებულებაში გაწერილი შესაბამისი მოთხოვნები და გამოითხოვეს თუ არა ექსპერტებმა ეს დოკუმენტი.
მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ დებულებაში დეტალურად არის გაწერილი ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნა, აგრეთვე არსებობს ხელშეკრულებები პარტნიორ

ორგანიზაციებთან, რომლებიც 3-5 სტუდენტს იღებენ პრაქტიკაზე. აღნიშნა, რომ ეს პროცესი მუდმივად რეგულირდება უნივერსიტეტის მიერ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "მასობრივი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისათვის 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი ხარვეზის გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, „მასობრივი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. ჩვენი რეკომენდაციით, პროგრამა უფრო მეტად შეესაბამება შემდეგ კვალიფიკაციას- **მეცნიერებათა მაგისტრი მასკომუნიკაციაში;**
- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში, შედეგებში და შესაბამისად სილაბუსებში მკაფიოდ აისახოს დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიისადმი ერთგულების საკითხები, კულტურული, პოლიტიკური და სოციალური განსხვავებების პატივისცემა. (1.1)
- რეკომენდებულია მკაფიოდ აღიწეროს - რა დარგობრივ უპირატესობას ანიჭებს ამ პროგრამის დამთავრება სტუდენტს, რა გამორჩეულ თვისებებს შეიძენს ის და რომელი საგნები უზრუნველყოფს ამ უნარების მიცემას სტუდენტისთვის, როგორ გამყარდება ეს თვისებები პრაქტიკითა და თეორიით. (1.2)
- რეკომენდებულია დაკონკრეტდეს დარგობრივ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული საგნები (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა) (1.2)
- რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი ჟურნალისტიკის სასწავლო კურსებით. (1.5)
- რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს სტუდენტთა რაოდენობები. (2.2)

- რეკომენდირებულია დაემატოს „პროფესიული ეთიკის საფუძვლების საგანი, სადაც შესაძლოა ინტეგრირება მოხდეს ასევე ხელოვნური ინტელექტის მოხმარების ეთიკური საკითხებიც. (2.2)
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დარგობრივი მიმართულებით, განსაკუთრებით ისეთ სასწავლო კურსებში, რომელთა მეშვეობით სტუდენტი ეუფლება რესპონდენტებთან ურთიერთობის უნარებს. (2.2)
- რეკომენდირებულია განახლდეს და გამრავალფეროვნდეს საკითხავი ლიტერატურა, მოხდეს სასწავლო მასალის მოცულობის ზომიერად გადანაწილება. (2.2)
- რეკომენდებულია გაიზარდოს აფილირებული და მოწვეული ლექტორების რიცხვი. რაც უზრუნველყოფს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების კურსების წაყვანას მაღალი ხარისხით. ასევე პროგრამის მდგრადობას. (4.1)
- რეკომენედირებულია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა პროგრამის მდგრადობისა და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით. (4.2)

რჩევები:

- სასურველია, მიზნების გამსხვილება და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებაზე ხაზგასმა. (1.2)
- რეკომენდირებულია შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესში გაიწეროს ჩასატარებელი გამოცდის ან გასაუბრების პროცედურები და შესაბამისად, შეიქმნას დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება წერილობითი ტექსტი ან ზეპირი ინტერვიუს ჩატრებისათვის და შეფასებისთვის შესაბამისი კრიტერიუმები. (2.1)
- სასურველია, გაიწეროს პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის მოთხოვნები. (2.2)

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მარკეტინგი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენისას სხდომა დატოვა საბჭოს ორმა წევრმა - თეა მჭედლურმა და მზია წიკლაურმა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ნანული ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ შეფასებაში მასთან ერთად მონაწილეობდა ბატონი სანდრო ტაბატაძე და განმარტა, რომ ერთობლივი შეფასება პროგრამისა არის მეტად პოზიტიური.
ორივე ექსპერტი იზიარებს ინსტიტუციის შეფასებას პროგრამასთან დაკავშირებით, რომ ის თანხვედრაშია მარკეტინგის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და სასწავლო დარგის სპეციფიკასთან.
პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დინამიურობას, მარკეტინგისა და ბიზნესის სფეროში მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირებას და ამით კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.
წარმოების ფარგლებში, ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება მოხდა პირველ, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებით. ერთობლივი შეფასებით დადგინდა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია თითოეულ სტანდარტთან.
ექსპერტებს არ აქვთ რეკომენდაციები, თუმცა აქვთ გარკვეული რჩევები, და ინსტიტუციის გადასაწყვეტია, მოახდენს თუ არა მათ გათვალისწინებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციები წარმოდგენილი არ არის, დაწესებულება გაეცნო ექსპერტთა რჩევებს და აღმოაჩინა რამდენიმე საინტერესო შენიშვნა, რომლის გათვალისწინებასაც გეგმავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:30
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ წარმოება შეწყდეს.

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;

პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ეკონომიკა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0311 ეკონომიკა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აღნიშნულ საკითხზე აცილება განაცხადა თამარ ზარანდიამ. აცილების საფუძველი, შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით სულ ექვსი რეკომენდაცია იყო გაცემული — მათგან პირველი და მეორე რეკომენდაციები დამატებული იყო თავად აკრედიტაციის საბჭოს მიერ, ხოლო დანარჩენი ოთხი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან. ექვსი რეკომენდაციიდან ხუთი სრულად შესრულებულია, ხოლო მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხება სამაგისტრო პროგრამის მიზნების გადამუშავებას, ფორმალურად არ არის შესრულებულად აღნიშნული. ექსპერტის განმარტებით, სავარაუდოდ საქმე გვაქვს მექანიკურ შეცდომასთან, ვინაიდან დოკუმენტში დაფიქსირებულია 2023 წლის ჩანაწერი, თუმცა დაწესებულების განმარტებით, რეკომენდაცია შესრულებულია. შესაბამისად, ექსპერტმა მიიჩნია, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია.
საბჭოს წევრმა ლევან შავაძემ ექსპერტს ჰკითხა, როცა გაუჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა გადმოგზავნილი დოკუმენტი ძველი ვერსია ყოფილიყო, მოითხოვა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი დოკუმენტის განახლებული ვერსია.
ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა დასკვნის პროექტი და ელოდებოდა შემდგომ პროცესს — დაწესებულებისგან არგუმენტირებული პასუხისა და შესწორებული დოკუმენტის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, რომეო გალდავა დაეთანხმა ქალბატონ იას, და განმარტა, რომ როდესაც მიიღეს დასკვნა, დაწესებულებამ ანგარიშში ასახა განხორციელებული

ცვლილებების შესახებ და მითითებული იყო პროგრამის ლინკი, რომელიც ფაკულტეტის და უნივერსიტეტის გვერდზე უნდა განთავსებულიყო. როგორც ჩანს, აღნიშნული ლინკი უნივერსიტეტის გვერდზე არ იყო დალინკული, რის შედეგადაც წარმოიშვა გაურკვევლობა. გალდავამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ცვლილებები დაწესებულების მიერ განახორციელებულია და აღნიშნულია ანგარიშშიც. დასკვნის მიღების დღესვე საიტზეც ეს საკითხი გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^{6} - ე მუხლის მე-2^{11}პუნქტის საფუძველზე, სსიპ-სოხუმი სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის " სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- შეუსაბამეთ პროგრამა უნივერსიტეტის მისიას და ხაზი გაუსვით მის როლს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დისციპლინური და კულტურათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობაში. წარმოაჩინეთ ის შემთხვევები, როდესაც პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციას, ინტერნაციონალიზაციას და მრავალფეროვნებას დაწესებულების შიგნით. (1.1)

მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა განაცხადეს თვითაცილება. თვითაცილების საფუძველი, შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეოთხე საკითხის განხილვისას სდომას უხელმძღვანელა ქეთევან აფთარაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა დალი ოსეფაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხუთივე რეკომენდაცია შესრულებული აქვს. მეხუთე რეკომენდაცია ტექნიკას ეხებოდა და აღნიშნულიც შესრულებულია. დაწესებულებას შეძენილი აქვს ორი ფოტოაპარატი, რომლებიც ასევე ვიდეო კამერის ფუნქციითაც შესაძლოა იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, დასტურდება დაწესებულების მიერ გადაგმული სხვა ნაბიჯებიც, მათ ადმინისტრაციას მიმართეს სხვა საჭირო აღჭურვილობის შეძენის შესახებ, რაც სტუდიას ესაჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა შონიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:05

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი: შპს ბრიტანული უნივერსიტეტის "ბიზნესის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა გამოიკვეთა ერთი გარემოება — სილაბუსის „მათემატიკის საფუძვლები“ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების მექანიზმი არ არის სრულად გამჭვირვალე და ექვემდებარება გაუმჯობესებას. რეკომენდაციაც სწორედ ამ კუთხით ჩამოყალიბდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან გურგენიძემ ბიზნეს სკოლის დეკანს ნინო ლობჟანიძეს სთხოვა კომენტარის გაკეთება. ნინო ლობჟანიძემ განმარტა, რომ რეკომენდაციები კურსის ხელმძღვანელის თანხლებით განხილული იქნა და მისი ჩართულობით მოხდა ყველა დამატებითი რეკომენდაციის განხილვა, რომელიც შეეხებოდა შეფასების დაზუსტებას და მის დაკავშირებას საბოლოო შედეგთან. ასევე აღინიშნა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა — ქულათა გადანაწილება და ლიტერატურის ძირითადი და დამხმარე ნაწილის გამიჯვნა, რაზეც დაწესებულება დაეთანხმა და საკითხი უკვე გასწორებულია. ნინო ლობჟანიძე აღნიშნა, რომ ანალიტიკურად გამოჩნდა ის ნაწილი, რაც რეკომენდაციების შესრულებას ეხება, თუმცა დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი რჩება გარე შეფასების მთელი პროცესი — უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას გაითვალისწინოს ეს პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ციური დურულმა ექსპერტს ჰკითხა, რას გულისხმობს რეკომენდაცია — შეფასების კომპონენტს თუ კრიტერიუმების შლას.
ექსპერტმა დავით სიხარულიძემ დაუზუსტა, რომ რეკომენდაცია კრიტერიუმებს შეეხებოდა, ასევე იყო რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი და გამოყენებული ლიტერატურები არ იყო წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:26

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული უნივერსიტეტის "ბიზნესის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს ბრიტანული უნივერსიტეტის "ბიზნესის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დაწესებულებას საბჭოსგან განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას 3 წლიანი შუალედური ანგარიშის წარმოდგენის დროს.

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ბიზნესისათვის" სილაბუსის შეფასების კომპონენტები და მიეთითოს ის ლიტერატურა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. (1.5)

მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეექვე საკითხის ზეპირი მოსმენა

მომჩივანის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მომჩივანს წარმოედგინა მისი პოზიცია.

მომჩივანმა, მარიამ ახალბედაშვილმა, განაცხადა, რომ განცხადების საპასუხოდ დაუბრუნეს მისი უნივერსიტეტის პოზიცია, სადაც ხელმძღვანელს ჰქონდა მხოლოდ ის თარიღები ნახსენები, როცა თვითონ პასუხობდა. ის შეტყობინება, რაზეც პასუხი არ ჰქონდა გაცემული, არ ყოფილა აღნიშნული. ასევე დაამატა, რომ მთელი სემესტრის მანძილზე, როცა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობდა, დეკანი, რომელიც მისი ლექტორიც იყო, იცოდა აღნიშნული ვითარების შესახებ; საქმის კურსში იყო კოორდინატორიც. აღნიშნა, რომ ერთადერთი სტუდენტი არ იყო, ვისაც ასეთი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ განცხადება მხოლოდ მან დაწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევითი კომპონენტის შესრულებასთან დაკაშირებით უნივერსიტეტს რეგლამენტირებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის პროგრამის ხელმძღვანელთან ფორმდება ოქმი, და ეს ორი ძირითადი დოკუმენტი ასახავს იმ კრიტერიუმებს, რითიც, როგორც სტუდენტი, ისე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა ხელმძღვანელობდნენ. განმარტა, რომ როდესაც აღნიშნულ საკითხზე ცნობა შემოვიდა, დაწესებულების მხრიდან რეაგირება იყო ის, რომ მოხდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან გასაუბრება, ინფორმაციის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ახსნა-განმარტებით იკვეთება, რომ სტუდენტსა და მას შორის ურთიერთობა დაახლოებით მარტის ბოლოს დაიწყო. მთავარი, რაზეც აქცენტს აკეთებს, არის ის, რომ მისი მხრიდან მიწოდებული უკუკავშირი დეტალური იყო რასაც ადასტურებს სქრინები. სამაგისტრო ნაშრომის პროექტზე და შემდგომ ეტაპზე მუშაობის პროცესში სტუდენტის მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული არც ერთ ეტაპზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებით გათვალისიწნებულია,

რომ მას შემდეგ, რაც სტუდენტი „პროსპექტუსს“ დაიცავს, მას აქვს შესაძლებლობა შეაფასოს მისი ხელმძღვანელის მუშაობა, და ამ მიმართულებითაც დაწესებულებამდე რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი არ მისულა.
ასევე, აღნიშნა, რომ რაც შეეხება უშუალო რეაგირებას სტუდენტის ნაშრომთან დაკავშირებით, მას ჰქონდა გასაჩივრების შესაძლებლობა და გაასაჩივრა კიდეც, რის შემდეგაც მოხდა ნაშრომის ხელახალი შეფასება, და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად საკმარისი არ აღმოჩნდა შეფასება.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ დაცვის დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტს არ ესმოდა ის საკითხი, რაზეც იცავდა თემას; რამდენიმე დეტალი არასწორი იყო, რაც გამოავლინდა. ნაშრომი არ ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ სტუდენტმა თავად დაწერა ნაშრომი. კვლევის მეთოდების კურსის დროს აშკარად არ მუშაობდა სერიოზულად, რაზეც ლექტორისგან შენიშვნაც მიიღო.
მარიამ ახალბედაშვილმა უპასუხა, რომ კვლევის მეთოდებს რაც შეეხება, მხოლოდ ერთი დავალება არ ჰქონდა გაგზავნილი, დანარჩენს სისტემატურად უგზავნიდა ლექტორს. ნაშრომშიც იგივე შეცდომა ჰქონდა, რაც დაცვაზე ზეპირსიტყვიერად გადმოსცა, და განმარტა, რომ ხელმძღვანელის ვალდებულება იყო, კომენტარები დაერთო და შენიშვნები მიეცა მისთვის. ისიც დაამატა, რომ ხელმძღვანელის მხრიდან ნაშრომის 90%-ზე კომენტარები არ იყო გაკეთებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
შეკითხვა დასვა ვლადიმერ ადეიშვილმა: კითხვა მიემართებოდა მარიამ ახალბედაშვილს, თუ მას უკმაყოფილების გრძნობა ჰქონდა პასუხებთან მიმართებით, ეცადა თუ არა პირდაპირი კომუნიკაცია დაემყარებინა მის ხელმძღვანელთან.
აღნიშნულის პასუხად მარიამ ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ ვერ ნახავდა პირდაპირ ხელმძღვანელს, რადგან 7 საათამდე მუშაობდა და არც ხელმძღვანელის გრაფიკი იცოდა.
ქეთევან ნანობაშვილმა სქრინებთან დაკავშირებით იკითხა: მართალია, მარიამ ახალბედაშვილი სთხოვს ხელმძღვანელს ნაშრომის სწრაფად გასწორებას, მაგრამ ეს ხდება ივნისის თვეში; დაინტერესდა, დაცვა როდის იყო ჩანიშნული და მოკლე დროში ხომ არ ითხოვდა ნაშრომის გასწორებას.
აღნიშნულზე მარიამ ახალბედაშვილმა უპასუხა, რომ მარტის ბოლოდან დაიწყო კომუნიკაცია და ბოლოს, თვენახევრით ადრე, გაუგზავნა ნაშრომი, თუმცა რეგაერობა არ ჰქონია, და შემდეგ უკვე კოორდინატორი ჩართო საქმის კურსში.
ციური დურულმა დასვა კითხვა, რომ წერილი იწყება თხოვნით, განისაზღვროს ადეკვატური ხელმძღვანელი; რას ითხოვს კონკრეტულად, აინტერესებს მაგისტრანტი.
მარიამ ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ სურს გადაბარება, ვინაიდან მისი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაცაა, რომ ნაშრომი არ იყო შესაბამისი.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა მანამდე გაეკეთებინა განაცხადი, ვიდრე უარყოფით შეფასებას მიიღებდა, და დროულად შეეცვალა ხელმძღვანელი, ვინაიდან არსებული ხელმძღვანელი არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს.
დეკანმა განაცხადა, რომ მარიამ ახალბედაშვილს მუდამ ეუბნებოდა, რომ თუ ხელმძღვანელთან პრობლემა ჰქონდა, დაეფიქსირებინა, თვითონვე მიმართავდა ზომებს, რაც მარიამმა დაადასტურა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:30
დასრულების დრო: 17:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის მე - 8 პუნქტი საფუძველზე, შეწყდეს ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს მაგისტრანტების ინფორმირების საკითხი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:45 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული